საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 13 ოქტომბერი, 2022 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/08

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურის შერჩევის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების დებულების“ მე-12 მუხლის მე-4 პუნქტისა და ბხსუ-ს საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის (№1; 13.10.2022) საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე შერჩეულ იქნას გელა ბერიძის კანდიდატურა.

2. ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს 10 (ათი) დღის ვადაში განიხილოს დადგენილების პირველ პუნქტში აღნიშნული კანდიდატურის დამტკიცების საკითხი.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ჭიჭილეიშვილი**